



ვებგვერდი

03/10/2014

სარეგისტრაციო კოდი

010260020.35.152.016190

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N 26

2014 წლის 26 სექტემბერი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - გამგეობის სამსახურების დებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

1. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „ადმინისტრაციული სამსახურის“ დებულება დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის“ დებულება დანართი N2-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის“ დებულება დანართი N3-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „შიდა აუდიტის სამსახურის“ დებულება დანართი N4-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის“ დებულება დანართი N5-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „გამგებლის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის სამსახურის“ დებულება დანართი N6-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის“ დებულება დანართი N7-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის“ დებულება დანართი N8-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის“ დებულება დანართი N9-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სახანძრო-სამაშველო სამსახურის“ დებულება დანართი N10-ის შესაბამისად;

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედების მომენტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის დადგენილება №25 „დუშეთის მუნიციპალიტეტის კანცელარიის დებულება“ (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.152.016131);

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის დადგენილება №26 „დუშეთის მუნიციპალიტეტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.152.016132);

3. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის დადგენილება №27 „დუშეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულება“ (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.152.016133);

4. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის დადგენილება №28 „დუშეთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულება“ (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.152.016134);

5. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის დადგენილება №24 „დუშეთის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის დებულება“ (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.152.016130);

6. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის დადგენილება №29 „დუშეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულება“ (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.152.016135);

7. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის დადგენილება №30 „დუშეთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულება“ (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.152.016136);

8. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის დადგენილება №31 „დუშეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულება“ (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.152.016137);

9. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 4 ივნისის დადგენილება №22 „დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.152.016128);

მუხლი 3.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნების თანავე;

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულება

მუხლი 1. ადმინისტრაციული სამსახური

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური (ტექსტში შემდგომ – „სამსახური“) წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს გამგეობის საქმის წარმოებას, კომუნიკაციას საკრებულოსთან, მოქალაქეებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, ახორციელებს გამგეობის სამართლებრივ უზრუნველყოფას, საკადრო პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას.

2. სამსახურს აქვს შტამპი, ბეჭედი, ბლანკისამსახურის სახელწოდების აღნიშვნით და სხვა საჭირო რეკვიზიტები.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახური კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) გამგეობაში შემოსული კორესპონდენციის მიღებას, რეგისტრაციას და ინდექსაციას, მათ განაწილებას დანიშნულებისამებრ, გამგეობის სამსახურებსა და თანამდებობის პირებს შორის;

ბ) გამგეობაში შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვას, მათს გადაგზავნას ადრესატებისათვის;

გ) საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობების გამოქვეყნებას. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამგეობის თანამდებობის პირების ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტების გამოქვეყნებას;

დ) გამგეობის თანამდებობის პირების სამსახურებრივი დავალებების სათანადო გაფორმებას, რეგისტრაციას, მათი შესრულების კონტროლს, შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას;

ე) მოქალაქეთა მისაღების მეშვეობით, „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დაცვით მოქალაქეთა საინფორმაციო მომსახურებას;

ვ) საქმის წარმოებაში გაშვებული დოკუმენტების სათანადო გაფორმებას და დოკუმენტრუნვას. საქმის წარმოებაში ქალაქში ამობეჭდილ დოკუმენტებზე ბეჭდების, შტამპების, ბლანკების სათანადო გამოყენებას;

ზ) საქმის წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვას;

თ) საქმეთა ნომენკლატურის შედგენას და არქივირებას;

ი) ელექტრონული საქმის წარმოების დანერგვას „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმის წარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ მთავრობის დადგენილების და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

კ) ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა კომუნიკაციას მოქალაქეებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, იურიდიულ პირებთან და სხვა გაერთიანებებთან;

- ლ) კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანას. საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- მ) მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებას. ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას;
- ნ) გამგეობის საქმიანობის ანგარიშების გამოქვეყნებას;
- ო) გამგებლის პრესკონფერენციების ჩატარებას, გამგეობის საქმიანობის შესახებ ყოველთვიური პრეს-დაიჯესტის მომზადებასა და გამოქვეყნებას; მათ ურთიერთობას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან;
- პ) სხვათვითმმართველერთეულებთან, ადგილობრივთვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ორგანიზებას;
- ჟ) გამგეობის სხვა სამსახურებთან ერთად ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას;
- რ) გამგებლის, გამგეობის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას;
- ს) გამგეობის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივ ექსპერტიზას, მოქმედ კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან მათი შესაბამისობის შესახებ სამართლებრივი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას;
- ტ) სამსახურის სამუშაო გეგმებით გათვალისწინებული, აგრეთვე გამგებლის დავალებებით მუნიციპალიტეტის ორგანოთა სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებას სხვა სამსახურებთან ერთად ან დამოუკიდებლად;
- უ) მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში, სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
- ფ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, რომელთა განხილვაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად მიეკუთვნება თვითმმართველობის კომპეტენციას; იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, რომელიც სასამართლოს განსჯადია, საქმეების გადაგზავნას შესაბამის სასამართლოში;
- ქ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სპრევენციის მიზნით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, სათანადო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- ღ) გამგეობის საკადრო პოლიტიკის შემუშავებასა და მის განხორციელებას;
- ყ) გამგეობის მოსამსახურეთა ერთიანი მონაცემთა ბანკის, საკადრო რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებას. მუნიციპალურ მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოებას;
- შ) მუნიციპალურ მოსამსახურეთა მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულის და შესაბამისობის შემოწმებას; გამგეობის მოსამსახურეთა მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი შეზღუდვების დაცვის

კონტროლს; გამგეობის მოსამსახურეთა მიერ შეთავსებით სხვა სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის საკითხების შესწავლას;

ჩ) გამგეობის მოსამსახურეთა პროფესიული დონის ანალიზს, მათი მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებას; მოხელეთა სწავლებასა, სტაჟირებას და პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას; კვალიფიკაციის ასამაღლებელ მოსამსახურეთა სიის შედგენას; გადამზადების პროგრამათა განსაზღვრას; კონტროლს გამგეობის მოსამსახურეთა მიერ სწავლების (კვალიფიკაციის ამაღლების) კურსების გავლაზე, სწავლების ეფექტურობის შემოწმებას; წინადადებების შემუშავებას ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში მუნიციპალურ მოსამსახურეთა სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯებთან დაკავშირებით;

ც) გამგეობაში არსებული საკადრო და საკადრო პოტენციალის ანალიზს, კადრების საჭიროებათა შესწავლას და საკადრო რესურსების გამოყენების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადებას. წინადადებების მომზადებას გამგეობის სამტატო ნუსხის ოპტიმიზაციის თაობაზე;

ძ) წინადადებების შემუშავებას გამგეობის მოსამსახურეთასამუშაოს დაგეგმვის, სამსახურებრივიმოვალეობებისადასამუშაოსშესრულებისშეფასებისკრიტერიუმებისდაანგარიშგებისფორმებისდადგენის თაობაზე;

წ) მუნიციპალურმოსამსახურეთასამუშაოთააღწერილობებისშესაბამისადსაკვალიფიკაციომოთხოვნებისშესახებწინადადებების, დასკვნებისადარეკომენდაციებისმომზადებას;

ჭ) მუნიციპალურ მოხელეთათვის საკლასო ჩინების მინიჭებისა და კანონით დადგენილი დანამატების განსაზღვრის საკითხების მომზადებას;

2. სამსახური უზრუნველყოფსმოქმედიკანონმდებლობით, გამგეობისდებულებითდამუნიციპალიტეტისსხვასამართლებრივიაქტებით, ასევე გამგებლის დავალებითგანსაზღვრულისხვა ფუნქციებისგანხორციელებას.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურისშედგება შემდეგი სტრუქტურულიქვედანაყოფების -განყოფილებებისაგან:

ა) საქმისწარმოებისგანყოფილება;

ბ) საინფორმაციოგანყოფილება;

გ) იურიდიულიგანყოფილება;

დ) კადრების განვითარებისა დამართვისგანყოფილება;

2. საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას.

3. საინფორმაციო განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ – „ქ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას;

4. იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის „რ“ – „ქ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას;

5. კადრების განვითარებისა და მართვის განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ – „ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას;

6. სამსახურის განყოფილებები ასევე უზრუნველყოფენ მოქმედი კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით, ასევე გამგეობის და გამგეობის თანამდებობის პირთა დავალებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4. სამსახურის მოხელეები

1. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად;

2. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, გამგეობის ბრძანებით სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.

3. სამსახურის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და განყოფილების მოხელეებისაგან. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი;

4. სამსახურის უფროსის, განყოფილების უფროსისა და სამსახურის სხვა მოხელეთა უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით, სამსახურის დებულებით, გამგეობის შინაგანაწესით, შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობითა და სხვა ნორმატიული აქტებით;

დანართი N2

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური (ტექსტში შემდგომ – „სამსახური“) წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციას, მართვას და ეფექტურ გამოყენებას, ორგანიზებას უწევს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, სტატისტიკურ აღრიცხვას, ამზადებს წინადადებებს კერძო ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით, მონაწილეობს ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების პროცესში, ასევე უზრუნველყოფს გარემოს დაცვის და სხვა ღონისძიებათა გატარებას წინამდებარე დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

2. სამსახურს აქვს შტამპი, ბეჭედი, ბლანკისა და სამსახურის სახელწოდების აღნიშვნით დასხვასაჭირო რეკვიზიტები.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახური კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

- ა) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვას და რეგისტრაციას;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საწარმოთა წილების, აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას;
- გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების და სპეცტექნიკის რეგისტრაციას;
- დ) რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების კატეგორიების განსაზღვრასა და შეცვლასთან დაკავშირებით;
- ე) წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. წინადადებების მომზადებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმებით მუნიციპალური ქონების შექმნასა და შეძენასთან დაკავშირებით;
- ვ) წინადადებების მომზადებას მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საწარმოების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებზე. წინადადებების შემუშავებას მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვის საკითხებზე. მუნიციპალიტეტის მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში პარტნიორის, აქციონერის უფლება-მოვალეობათა განხორციელებას;
- ზ) წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალური ქონებით სარგებლობისა და განკარგვის საკითხებზე;
- თ) წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალიტეტისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული სახელმწიფო ქონების გამოყენებისა და განკარგვის თაობაზე;
- ი) მუნიციპალური ქონების დაცვის, მოვლა-პატრონობის, მართლზომიერი სარგებლობის კოორდინაციას;
- კ) ფიზიკურ პირთათვის მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო საბინაო ფონდის არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის პროცესს;
- ლ) მუნიციპალიტეტის სოფლისმეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ტურიზმის და სხვა დარგების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეკრებასა და დამუშავებას, შესაბამის მონაცემთა საინფორმაციო ბაზის წარმოებას, სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზს, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას ამ დარგების განვითარების მიზნით;
- მ) მუნიციპალიტეტის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის შეფასებას, ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების ანალიზს, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;
- ნ) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამის მომზადების ორგანიზებას, პროგრამის განსახორციელებლად დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;
- ო) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტთან დაკავშირებით;

პ) წინადადებების მომზადებას ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება-გაუქმების, მათი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ, მათ შორის წინადადებების შემუშავებას დასუფთავების მოსაკრებლის შემოღება-გაუქმებისა და მისი ოდენობის განსაზღვრის, მოსაკრებლის ადმინისტრირების საკითხებზე;

ჟ)

წინადადებების მომზადებას მუნიციპალური პროექტების განხორციელების მიზნით კერძო ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით;

რ)

საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების შესადგენად.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისათვის წინადადებების მომზადებას;

ს)

მუნიციპალური პროექტების განსახორციელებლად კერძო ინვესტორებთან, მუნიციპალური განვითარების ფონდთან, დონორ ორგანიზაციებთან და ა.შ. ურთიერთობების წარმართვის მიზნით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

ტ)

მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების განხორციელების ზედამხედველობას;

უ) ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირებას, მუნიციპალიტეტის საგადასახადო საინფორმაციო ბაზის შექმნასა და განახლებას;

ფ) გარემოს დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას;

ქ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლის, ტყის რესურსების მართვას კანონით დადგენილი წესით;

ღ) უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვას;

ყ) ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების დამატებით და მარჯობით მიწის ნაკვეთების მოვლა-პატრონობას, აღჭურვას, რემონტს, კეთილმოწყობას, დასუფთავებას, კომუნალურ მომსახურებასა და დაცვას;

შ) საინფორმაციო-საკომუნიკაციოს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას;

ჩ) საოფისე ავეჯის და ინვენტარის, კომპიუტერების და სხვა ტექნიკის მოვლა-პატრონობას, რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას;

ც) უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინვენტარის, ტექნიკისა და სხვა აღჭურვილობით სარგებლობის წესების დაცვას;

ძ) თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების სარგებლობაში არსებული სატრანსპორტოსა და შუალელების მოვლა-პატრონობას, რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას;

2. სამსახური უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით, ასევე გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურის შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების - განყოფილებებისაგან:

ა) მუნიციპალური იქონების აღრიცხვის ადამართვის განყოფილება;

ბ) სტატისტიკის, ეკონომიკის განვითარების ადაგარემოს დაცვის განყოფილება;

გ) სამეურნეო-ტექნიკური განყოფილება;

2. მუნიციპალური იქონების აღრიცხვის ადამართვის განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ - „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას.

3. სტატისტიკის, ეკონომიკის განვითარების ადაგარემოს დაცვის განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ - „ფ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას;

4. სამეურნეო-ტექნიკური განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ - „ძ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას;

5. სამსახურის განყოფილებები ასევე უზრუნველყოფენ მოქმედი კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით, ასევე გამგებლის და გამგეობის თანამდებობის პირთა დავალებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

6. სამსახურის უფროსი უფლებამოსილია სამსახურის კომპეტენციაში შემავალი საკითხების, ასევე გამგებლის დავალების შესრულების უზრუნველყოფა და ავალოს ერთობლივად ორ ან მეტ განყოფილებას ან/და სხვადასხვა განყოფილების მოხელეებს;

მუხლი 4. სამსახურის მოხელეები

1. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად;

2. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, გამგებლის ბრძანებით სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს განხორციელებს სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.

3. სამსახურის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და განყოფილების მოხელეებისაგან. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი;

4. სამსახურის უფროსის, განყოფილების უფროსისა და სამსახურის სხვა მოხელეთა უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით, სამსახურის დებულებით, გამგეობის შინაგანაწესით, შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობითა და სხვა ნორმატიული აქტებით;

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულება

მუხლი 1. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური (ტექსტში შემდგომ – „სამსახური“) წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მართვას, მუნიციპალური ბიუჯეტის შემუშავებას და შესრულებას, კანონით დადგენილი წესით საფინანსო ოპერაციების წარმოებას და საბუღალტრო აღრიცხვას, მუნიციპალური შესყიდვების განხორციელებას.

2. სამსახურს აქვს შტამპი, ბეჭედი, ბლანკისამსახურის სახელწოდების აღნიშვნით და სხვა საჭირო რეკვიზიტები.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახური კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის შესადგენად საჭირო სამუშაოების ორგანიზებას;

ბ) პრიორიტეტების დოკუმენტის ფინანსურ დასაბუთებას, შესაბამისი დასკვნების, რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადებას გამგეობის მიერ პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებისას;

გ) წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას;

დ) ბიუჯეტის პროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციას, ანალიზს, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

ე) წლის ბიუჯეტის პროექტის რედაქტირებას საკრებულოს მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით;

ვ) წინადადებების მომზადებას მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებისა და გაცემის შესახებ;

ზ) წინადადებების მომზადებას ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება-გაუქმების, მათი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ;

თ) მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების პროექტების საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშებას, მუნიციპალური პროგრამების და საინვესტიციო პროექტების საფინანსო გაანგარიშებას, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

ი) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საწარმოების დივიდენდების პროგნოზირებას. სხვა შემოსავლების, მათ შორის, მოსაკრებლების პროგნოზირებას, ამ შემოსავლების წლიური გეგმის და კვარტალების მიხედვით განწერის შესახებ შესაბამისი წინადადებების მომზადებას;

კ) საჭირო ინფორმაციის შეკრებასა და დამუშავებას ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოთანაბრებითი, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების მოცულობათა გასაანგარიშებლად;

ლ) წინადადებების მომზადებას ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ოდენობის თაობაზე;

მ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერას კვარტალებისა და თვეების მიხედვით;

ნ) საბუღალტრო აღრიცხვას;

ო) ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესაბამისად ხარჯის გაწევას, საფინანსო ოპერაციების წარმოებას;

პ) მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშების მართვას, ურთიერთობებს ხაზინასთან და საბანკო დაწესებულებებთან;

ჟ) მუნიციპალიტეტის მიერ აღებული და გაცემული სესხების მართვას;

რ) მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა ხელფასების, სამივლინებო ხარჯების და სხვა გადასახდელების გაცემას;

ს) მონაწილეობას იღებს ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირებაში, მუნიციპალიტეტის საგადასახადო საინფორმაციო ბაზის შექმნასა და განახლებაში;

ტ) ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაციის შეკრებას, გაანალიზებას და შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

უ) ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიმდინარე და ყოველწლიური ანგარიშების მომზადებას;

ფ) მუნიციპალურიშესყიდვებისგეგმისმომზადებას.გამგეობისსტრუქტურულიერთეულების და გამგებლის წარმომადგენლებისმიერმოწოდებულ წინადადებებთან წლიურიშესყიდვებისგეგმისშეჯერებას, მისი დამტკიცებისუზრუნველყოფასდაშემდგომ კორექტირებას;

ქ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შესყიდვის საშუალების შერჩევას და შერჩეული საშუალების შესაბამისი პროცედურების დაგეგმვას;

ღ) შესყიდვის პროცედურების მომზადებას და განხორციელების უზრუნველყოფას;

ყ) სატენდერო კომისიის აპარატის ფუნქციების შესრულება და სატენდერო პროცედურების ჩატარების ტექნიკური უზრუნველყოფა;

შ) სატენდეროკომისიისოქმებისდასხვადოკუმენტებისწარმოებას;

ჩ) ელექტრონულიტენდერისშესახებგანცხადებისმომზადებასადაგამოქვეყნებას;

ც) მუნიციპალიტეტისსატენდეროკომისიისგადაწყვეტილების და მოქმედი ნორმატიულ აქტებისშესაბამისადხელშეკრულებისშემუშავებას;

ძ) მუნიციპალიტეტის მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების რეგისტრაცია, აღრიცხვა, შენახვა და დაცვა;

წ) უზრუნველყოფსმუნიციპალურიშესყიდვებისშესახებხელშეკრულებისპირობებისდაცვაზე კონტროლის განხორციელებას;

ჭ) სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადებას;

ბ) სახელმწიფოშესყიდვებისკანონმდებლობისშესაბამისად, სახელმწიფოშესყიდვებისგანხორციელებისმიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტისდაქვემდებარებაშიარსებულიშემსყიდველიორგანიზაციებისათვის (სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირებისათვის)კონსულტაციებისგაწევა;

ჯ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურის შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების- განყოფილებებისაგან:

ა) საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება;

ბ) საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება;

გ) მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება;

2. საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას.

3. საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ – „უ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას;

4. მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება უზრუნველყოფს ამ დებულების მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ – „ხ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას;

5. სამსახურის განყოფილებები ასევე უზრუნველყოფენ მოქმედი კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით, ასევე გამგებლის და გამგეობის თანამდებობის პირთა დავალებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

6. სამსახურის უფროსი უფლებამოსილია სამსახურის კომპეტენციაში შემავალი საკითხების, ასევე გამგებლის დავალების შესრულების უზრუნველყოფა დაავალოს ერთობლივად ორ ან მეტ განყოფილებას ან/და სხვადასხვა განყოფილების მოხელეებს;

მუხლი 4. სამსახურის მოხელეები

1. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად;

2. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, გამგებლის ბრძანებით სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.

3. სამსახურის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და განყოფილების მოხელეებისაგან. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი;

4. სამსახურის უფროსის, განყოფილების უფროსისა და სამსახურის სხვა მოხელეთა უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით, სამსახურის დებულებით, გამგეობის შინაგანაწესით, შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობითა და სხვა ნორმატიული აქტებით;

დანართი N4

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის

დებულება

მუხლი 1. შიდა აუდიტის სამსახური

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური (ტექსტში შემდგომ – „სამსახური“) წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას.

2. სამსახური ფუნქციურად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, ანგარიშვალდებულებულია უშუალოდ გამგებლის წინაშე და „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“

საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ საბჭოსთან (შემდგომში – ჰარმონიზაციის ცენტრი) კოორდინირებულად.

3. სამსახური მოქმედებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების, გამგებლის დავალებების, ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების, მეთოდური მითითებების, სტანდარტების და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

4. სამსახური თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან. მოთხოვნის შემთხვევაში, აწვდის მას შესაბამის ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას დამასთან ურთიერთობას წარმართავს შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

5. სამსახურს აქვს შტამპი, ბეჭედი, ბლანკის სამსახურის სახელწოდების აღნიშვნით და სხვა საჭირო რეკვიზიტები.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახური კანონით დადგენილი წესით ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

ა) შიდა აუდიტის წლიური და სტრატეგიული გეგმის შემუშავება და საანგარიშო წლის დაწყებამდე, გამგებლისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) დამტკიცებული წლიური და სტრატეგიული გეგმის წარდგენა ჰარმონიზაციის ცენტრში;

გ) შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელება;

დ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმება, მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენა. მუნიციპალური პროგრამების საფინანსო მონიტორინგს;

ე) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ გაწეული ხარჯების მიზნობრიობის, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის შეფასებას, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

ვ) სამსახურის მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი;

ზ) გამგეობის სისტემაში ასიგნებების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობების და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მონიტორინგი, შეფასება, შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების რისკების განსაზღვრა;

თ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება. არსებული რისკების დადგენა და შეფასება. გამგეობის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ი) ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მიერ დისციპლინისა და კანონიერების დაცვის კონტროლი, სამსახურებრივ გადაცდომათა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა, ამ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შიდა აუდიტის სამსახურის შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო

ლ) „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შიდა აუდიტთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების განხორციელებას;

მუხლი 3. სამსახურის უფროსი და სამსახურის მოხელეები

1. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად;

